

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	12
6. ტელე გადაცემებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	12
7. ჩვენებისა და ინფრასტრუქტურის ხარჯი	12
8. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	13
9. ძირითადი საშუალებები	13
10. არამატერიალური აქტივები	14
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
12. ფული და ფულის ექვივალენტები.....	14
13. კაპიტალი	15
14. მოკლევადიანი სესხები	15
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
16. გადასახადები.....	16
17. პირობითი ვალდებულებები	16
18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
19. ბალანსის შემდგომი მოვლენები	18

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მთავარი არხის“ მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიკირავეს შპს „მთავარი არხის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას შპს „მთავარი არხის“ თანდართულ ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „*მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებული ზარალი შეადგენს 42,001 ათას ლარს. ამასთან, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ვალდებულებები მთლიან აქტივებს აჭარბებს 11,320 ათასი ლარით. გასულ პერიოდებში პოზიტიური საოპერაციო ფულადი ნაკადების გენერირებისთვის კომპანია საჭიროებდა მეწილეების ფინანსურ მხარდაჭერას. 2022 წლის 16 მაისს, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში, თბილისის საქალაქო სასამართლომ, კომპანიის გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას 3 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა. ამასთან, ამავე პერიოდში შეიქმნა "მედიის თავისუფლების ფონდი" შპს "მთავარი არხის" გადასარჩენად. კომპანიის არსებული ფინანსური გეგმა ვერ უზრუნველყოფს აუცილებელი ფულადი სახსრების გენერირებას საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად და ასევე კომპანიის მენეჯმენტს არ მოუზადებია გრძელვადიანი ფულადი ნაკადების პროგნოზი, თუ როგორ უნდა დაფინანსდეს პროგნოზირებული საოპერაციო ზარალი. ვინაიდან მენეჯმენტის შეფასებით ახლა შეუსაბამოა გრძელვადიანი ბიუჯეტების შედგენა, რადგან არსებობს ბევრი მნიშვნელოვანი ცვალებადი ფაქტორი და ობიექტური გარემოება, მათ შორის ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა რაც მომავალს ხდის არაგანჭვრეტადს და ართულებს ვალიდური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. ხსენებული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, საქმიანობის უწყვეტობის შესანარჩუნებლად რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს სამეურნეო სუბიექტის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებდამა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ადეკვატურად არ არის განმარტებული თუ რა წყაროებით მოხდება საპროგნოზო უარყოფითი ფულადი ნაკადების დაფინანსება პროგნოზირებად მომავალში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთის არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 756 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთის არსებობასა, სისრულესა და სიზუსტეზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 12,218 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის



ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ შპს „მთავარი არხის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდარჯულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

22 აგვისტო, 2022

თბილისი, საქართველო.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.


კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ შპს „მთავარი არხის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

შპს „ეკოვის ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

22 აგვისტო, 2022

თბილისი, საქართველო.

შპს „მთავარი არხი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	5	11,915	11,167
ტელე გადაცემებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	6	(17,880)	(17,573)
ჩვენებისა და ინფრასტრუქტურის ხარჯი	7	(5,151)	(5,270)
საერთო ზარალი		(11,116)	(11,676)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		83	457
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	8	(7,394)	(6,134)
საოპერაციო ზარალი		(18,427)	(17,353)
ფინანსური ხარჯი		(49)	(39)
საკუროს სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		2	(182)
ზარალი დაბეგვრამდე		(18,474)	(17,574)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(18,474)	(17,574)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 22 აგვისტოს:



დ. ს. საბაგლიშვილი
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

შპს „მთავარი არხი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	5	11,915	11,167
ტელე გადაცემებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	6	(17,880)	(17,573)
ჩვენებისა და ინფრასტრუქტურის ხარჯი	7	(5,151)	(5,270)
საერთო ზარალი		(11,116)	(11,676)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		83	457
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	8	(7,394)	(6,134)
საოპერაციო ზარალი		(18,427)	(17,353)
ფინანსური ხარჯი		(49)	(39)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		2	(182)
ზარალი დაბეგვრამდე		(18,474)	(17,574)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(18,474)	(17,574)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 22 აგვისტოს:

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1,266	1,378
არამატერიალური აქტივები	10	710	478
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,976	1,856
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		18	8
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	756	1,183
ფული და ფულის ექვივალენტები	12	-	17
სულ მიმდინარე აქტივები		774	1,208
სულ აქტივები		2,750	3,064
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	30,681	19,513
დაგროვილი ზარალი	13	(42,001)	(23,527)
სულ კაპიტალი		(11,320)	(4,014)
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	14	634	410
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	12,218	6,352
საგადასახადო ვალდებულება	16	1,218	316
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14,070	7,078
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,750	3,064

შპს „მთავარი არხი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2019	3,605	(5,953)	(2,348)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	15,908	-	15,908
საანგარიშგებო წლის სრული ზარალი	-	(17,574)	(17,574)
31 დეკემბერი 2020	19,513	(23,527)	(4,014)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11,168	-	11,168
საანგარიშგებო წლის სრული ზარალი	-	(18,474)	(18,474)
31 დეკემბერი 2021	30,681	(42,001)	(11,320)

შპს „მთავარი არხი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2021	2020
საოპერაციო საქმიანობა		
წლის ზარალი	(18,474)	(17,574)
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,423	1,361
ფინანსური ხარჯი	49	39
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	340
უიმედო და საექვო ვალების ხარჯი	82	32
საკუროს მოგება/(ზარალი)	(2)	182
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე	(16,922)	(15,620)
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(10)	(7)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	344	(608)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	902	324
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	5,917	2,641
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	(9,769)	(13,270)
გადახდილი პროცენტი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობაზე	(9,769)	(13,270)
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(251)	(1,062)
არამატერიალური აქტივის შესყიდვა	(1,291)	(1,147)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(1,542)	(2,209)
ფინანსური აქტივობები		
საწესდებო კაპიტალის შევსება	11,086	15,908
აღებული/(დაფარული) სესხი	223	(298)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივობებიდან	11,309	15,610
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(2)	131
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	17	38
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(15)	(152)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	-	17

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „მთავარი არხი“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით, 404574518, დაფუძნდა 2019 წლის 1 მარტს. მისი თავდაპირველი სახელწოდება იყოს შპს „კომედი არხი“. კომპანიას ჰყავდა სხვა დამფუძნებლები და მენეჯმენტი. შპს „კომედი არხი“-ს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან ჰქონდა აღებული ავტორიზაცია გასართობი კონტენტით მაუწყებლობის შესახებ (ავტორიზაციის ნომერი: N: BR-5062) და არხზე თავდაპირველად გადიოდა მხოლოდ კომედიური და გასართობი ხასიათის გადაცემები. შესაბამისად, შპს „კომედი არხი“ რეგრენდინგამდე მედია ბაზარზე პოზიციონირებდა არსებითად განსხვავებული კონცეფციით.

2019 წლის 15 აგვისტოდან, კომპანიაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: შეიცვალა საწარმოს სახელწოდება, მისამართები, ელექტრონული ფოსტა, დამფუძნებლები და წარმომადგენლობით უფლებამოსილების მქონე პირები. კომპანიის, როგორც შპს-ს და არხის ბრენდული სახელწოდება გახდა „მთავარი არხი“. რეგრენდინგის პირობებში არხმა დროებით შეწყვიტა მაუწყებლობა ტექნიკური სამუშაოების გამო. 2019 წლის 5 სექტემბერს კომპანიამ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში მოახდინა ავტორიზაციის მოდიფიცირება და სპეციალიზირებული (გასართობი) მაუწყებლობის ავტორიზაცია შეიცვალა საერთო მაუწყებლობის ავტორიზაციით (ე.ი მიიღო საინფორმაციო გადაცემების, საზოგადოებრივი, პოლიტიკური გადაცემების განთავსების უფლება) და მიიღო უფრო მრავალფეროვანი კონტენტით მაუწყებლობის უფლება. კომპანიის განახლებული სახით მაუწყებლობა აღდგა/დაიწყო 2019 წლის 9 სექტემბერს.

2019 წლის 9 სექტემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და დღემდე, კომპანია ფუნქციონირებს არსებული სახით.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტელემაუწყებლობა. „მთავარი არხი“ მაუწყებლობს მთელი საქართველოს მასშტაბით, როგორც ღია ეთერით, ისე სატელიტით, საკაბელო ოპერატორებისა და IP ტელევიზიების საშუალებით.

კომპანია შემოსავალს აგენერირებს სარეკლამო დროის რეალიზებით.

ინდუსტრიაში მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“, სექტორის რეგულირება ხდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონი კომპანიას უწესებს გარკვეულ ვალდებულებებს, როგორიცაა პროგრამული და ასაკობრივი შეზღუდვები, რეკლამის და პროგრამაში პროდუქტის განთავსების წესები და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე კანონით გათვალისწინებულ სანქციებს. სანქციის მაქსიმალურ ზომას წარმოადგენს ავტორიზაციის შეჩერება. უკიდურესი ზომის გამოყენება კანონის თანახმად შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ რაც დარღვევისათვის სანქციის სახით უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა.

ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, კომპანიას ქონდა მიმდინარე დავა კომუნიკაციების კომისიასთან, რომლის დეტალებიც შეგიძლიათ იხილოთ მე-17 შენიშვნაში. ინფორმაცია სანქციების შესახებ არის საჯარო და ხელმისაწვდომია კომუნიკაციების კომისიის საიტზე (<https://comcom.ge/>). ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე კომისიას კომპანიასთან ავტორიზაციის შეჩერებასთან დაკავშირებული განხილვა არ ჰქონია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. საქართველო, თბილისი, გიორგი ჩუბინაშვილის ქ. N 41.

კომპანიის მეწილეები: დეტალური ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია მე-13 შენიშვნაში. შპს „მთავარი არხი“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა საწარმოებში.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ერთეულ ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან თანამართლებად მომავალ ეკონომიკურ სარგებლოს თუ აღიარების ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია.

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
სამაუწყებლო აღჭურვილობა	5-12
ოფისის აღჭურვილობა	5
სხვა ძირითადი საშუალებები	5-12

არამატერიალური აქტივები.

- აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს, ლიცენზიებს და განუსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე ვებ-გვერდს. ასევე ჩვენების უფლებას განსაზღვრული სერიების ოდენობით და საკუთარი დანახარჯებით შექმნილი სერიალი. არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. კომპანია არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს ლიცენზიებს და განუსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე ვებ-გვერდს ამორტიზაცია ერიცხება წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. განუსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივის ამორტიზირების ვადად განსაზღვრულია 10 წელი. ფილმების და სერიალების ჩვენების უფლებას ამორტიზაცია ერიცხება აქტივის მოსალოდნელი გამოყენების მეთოდით, კერძოდ ამორტიზაცია განისაზღვრება ფაქტიურად გასული სერიების მიხედვით. საკუთარი წარმოების არამატერიალური აქტივის (სერიალი) ამორტიზირდება დაჩქარებული მეთოდის გამოყენებით, კერძოდ რიცხვთა ჯამის მეთოდით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)/ამორტიზაციის მეთოდი
ვებ-გვერდი	3
პროგრამული უზრუნველყოფა	7
სხვა	7
ჩვენების უფლება	ფაქტიურად გასული სერიების/ფილმების მიხედვით
საკუთარი წარმოების სერიალი	რიცხვთა ჯამის მეთოდი

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოების დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი საღირცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის როგებაში ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაჩეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. „იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შესრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

შემოსავლების აღიარება. შემოსავალი შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სარეკლამო დროის გაყიდვა, შემოსავლების აღიარება ხდება რეკლამის განთავსებიდან შესრულებული მოსახურების მიხედვით.

ხარჯების აღიარება. ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიან კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება საოპერაციო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ დაჭირვებია მნიშვნელოვანი შეფასების გაკეთება საგადასახადო პრაქტიკის შეფასებისთვის.

- **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.** 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებული ზარალი შეადგენს 42,001 ლარს. ამასთან, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ვალდებულებები მთლიან აქტივებს აჭარბებს 11,320 ლარით. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით, დიდი მოცულობის საოპერაციო ზარალი კომპანიის ფუნქციონირების ამჟამინდელ ეტაპზე, ფორსმაჟორულ სიტუაციაში შექმნილ ტელევიზიასთან დაკავშირებული სირთულეებისა და შექმნიდან მალევე, მოულოდნელი საერთაშორისო მასშტაბის გამოწვევის, COVID პანდემიით დაწყებული და შემდგომი თანმდევი გამოწვევების ფონზე, მეწილეებისთვის წარმოადგენდა საპროგნოზო მომავალს და მენეჯმენტი აქტიურად მუშაობდა ამ პერიოდის განმავლობაში რომ შემცირებულიყო მოსალოდნელი ზარალი. ამისთვის კომპანიის მენეჯმენტმა მიიღო გარკვეული სახის ზომები.

მედია კომპანიის სისტემა ჯაჭვური სტრუქტურის ბუნებისაა. ხარჯების ოპტიმიზაცია პირდაპირ პროპორციულად აისახება „მთავარი არხის“ ეთერზე, მის ხარისხსა და შესაბამისად, არხის რეიტინგზე. ხოლო რეიტინგი კი პირდაპირ შემოსავალზე. ამიტომ, მენეჯმენტი ფრთხილია ხარჯების შემცირებაზე გადაწყვეტილებების მიღებისას და ხარჯების შემცირების გარდა, ცდილობს შემოსავლების მიღების ახალი იდეების გენერირებას.

ვინაიდან 2021 წელი იყო მძიმე, მენეჯმენტის მხრიდან საჭირო გახდა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც ერთი მხრივ, არ იქნებოდა მძიმე და ხისტი, რასაც ასახვდა ექნებოდა კონტენტზე და შესაბამისად რეიტინგზე, ხოლო მეორე მხრივ, მოახდენდა ხარჯების დაზოგვას. ამასთან, მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, ასეთი ღონისძიებები უნდა ყოფილიყო განხორციელებული ეტაპობრივად, შესაბამისი ეტაპისთვის რელევანტური, არსებული სურათის შესაბამისი. ასეთი გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა ნაწილობრივ 2021 წელს, ასევე 2022 წელს და ეს პროცესი კვლევ მიმდინარე.

მოცემულობის აღწერა და განხორციელებული ღონისძიებები:

2021 წლიდან და მიმდინარე 2022 წელსაც კომპანია უწყვეტი ფინანსური გამოწვევების წინაშეა. წინა წლებში აკუმულირებულმა პრობლემებმა პირდაპირი გავლენა იქონია 2021 წლის ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანიას ოპერირება მხოლოდ 4 თვის დაწყებული ჰქონდა, როდესაც COVID პანდემია დაიწყო და მიუხედავად იმისა, რომ მედია სრული დატვირთვით მუშაობდა კრიტიკულ პერიოდში, სახელმწიფოს, მედიის მიმართ განსხვავებით სხვა სექტორებისა, რაიმე შეღავათი არ გაუვრცელებია.

2021 წელს განსაკუთრებით აგრესიული იყო გარემო მედიისთვის (მაგ. 5 ივლისის მოვლენები, აგრესიული წინასაარჩევნო პერიოდი და ა.შ). გარკვეული პერიოდით კომპანიას მოუწია ფოკუსის გადატანა თანამშრომელთა ფიზიკურ უსაფრთხოებაზე.

გამოწვევები განსაკუთრებით გაძლიერდა 2021 წლის მეორე ნახევრიდან და გამოწვევები დღემდე გრძელდება: 2021 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა, მთავრობის ინიცირებით, მიიღო ცვლილებები კანონმდებლობაში და 2022 წლიდან სრულად აკრძალა სათამაშო ბიზნესის რეკლამა, რამაც „მთავარი არხი“

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

რუსეთის აგრესიულმა ომმა უკრაინის წინააღმდეგ გავლენა იქონია სარეკლამო ბაზარზე, განსაკუთრებით საერთაშორისო დამკვეთებზე, რომლებმაც შეამცირეს მარკეტინგული ბიუჯეტი და არხს შეუმცირდა შემოსავალი.

2022 წლის 16 მაისს, დააპატიმრეს კომპანიის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია, რამაც მკაფიო გზავნილი მისცა ბიზნესებს და პოტენციურ ინვესტორებს, თავი შეეკავებინათ კომპანიაში განსახორციელებელი ნებისმიერი ტიპის ინვესტირებისგან.

ფინანსური გამოწვევების გამო, კომპანიის თანამშრომლებმა დააფუძნეს "მედიის თავისუფლების ფონდი", რომელიც ფუნქციონირებს შემოწირულობებით. აღნიშნული ფონდის დახმარებით შესაძლოა, გარკვეულწილად, ჟურნალისტების საქმიანობისთვის ფინანსური ხელშეწყობა.

2021 წელს დაწყებული შიდა ორგანიზაციული ცვლილებები და ხარჯების შემცირებები გაგრძელდა. მაგალითად, დაიხურა გადაცემა "მთავარი გოგოები"; ხარჯების შემცირება გააქტიურდა 2022 წელს, ნიკა გვარამიას დაჭერის შემდეგ და დღემდე მიმდინარეა და გაგრძელდება წინამდებარე ანგარიშგების გამოცემის შემდეგაც. 2022 წლის 16 მაისის შემდეგ, დღეის მდგომარეობით, დამატებით გათავისუფლდა 48 ადამიანი, თანამდებობა დატოვა 43 ადამიანი, თითქმის, 2-ჯერ შემცირდა კომპანიის ბიუჯეტი. არსებულ თანამშრომლებს შეუმცირდათ ხელფასები 5%, 10%, 15%, და 20%-იანი განაკვეთებით; დაიხურა კომპანიის ერთ-ერთი ლოკაცია, ე.წ. "ვაშლიჯვრის" სტუდია, სადაც იწერებოდა გასართობი გადაცემები - ყოველდღიური დილის გადაცემა, ნანუკას შოუ, ვანოს შოუ, ახალი შაბათის შოუ, მთავარი ბიჭები, ლიტერატურული სამკუთხედი, სპორტი დიდ ქალაქში, მთავარი ჭკვიანი, მთავარი დიაგნოზი, მთავარი მსოფლიოში, ამინდი და ა.შ. ლოკაციის დახურვამ მნიშვნელოვნად შეამცირა ხარჯები - აპარატურის ქირა, შენობის შენახვის ხარჯი და ა.შ. არხის ფინანსური მდგომარეობისთვის მნიშვნელოვანია გასართობი გადაცემების შენარჩუნება, ვინაიდან ფინანსები ძირითადად გენერირდება სწორედ გასართობი კონტენტისგან. შესაბამისად, ლოკაციის დახურვის პარალელურად, კომპანიის ამოცანა იყო ამ გადაცემების შენარჩუნება იმგვარად, რომ შენარჩუნებულიყო კონტენტი ყველაზე ნაკლები ხარჯით. ამ მიზნით, ზოგიერთმა გადაცემამ განიცადა მოდიფიცირება და სტუდიური ჩანაწერის ნაცვლად, ის არის ახლა ე.წ. "რეალითი" ფორმატის (მაგალითად, ლელას შოუ); ზოგიერთი გადაცემა გადავიდა გარე დაფინანსების მოდელზე რომ თავად უზრუნველყონ საკუთარი თავის დაფინანსება.

ფინანსური პრობლემების გამო, არხის მენეჯმენტმა აქტიურად დაიწყო საერთაშორისო დონორებთან ურთიერთობა, როგორც დიდ, ისე მცირე გრანტებზე და გაიგზავნა არაერთი აპლიკაცია დაფინანსების მოთხოვნაზე სხვადასხვა დონორებთან.

დღეის მდგომარეობით, დონორების დახმარებით მოპოვებულია ორი ჯადაცემის დაფინანსება - "ლიტერატურული სამკუთხედი" და "მთავარი მსოფლიოში".

კომპანია ამ ეტაპზე, კვლავ აგრძელებს მუშაობას ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად და ეძებს სახსრებს საბიუჯეტო დავალიანების დასაფარად. ფინანსური სახსრების მოპოვებისთანავე, კომპანია მოიაზრებს მთავრობისთვის დავალიანების რესტრუქტურიზაციის მოთხოვნის გაგზავნას, ვინაიდან, პრაქტიკაში, საქართველოს მთავრობას უკვე განუხორციელებია მედიისთვის რესტრუქტურიზაცია.

გართულებული ეკონომიკური სიტუაციის და დიდი მოცულობის ადმინისტრაციული ხარჯების გამო, მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია მიმდინარე და მომავალი წლის განმავლობაში ვერ შეძლებს დადებითი ფულადი ნაკადების გენერირებას და საჭიროა აღნიშნული ზარალის დაფინანსება.

საოპერაციო ხარჯების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს დამფუძნებლების შენატანები საწესდებო კაპიტალში. კომპანიის მეწილეებისთვის ხელმისაწვდომია კომპანიის ბუღალტრული დოკუმენტაცია და ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მათ შორის, ხელმისაწვდომია ინფორმაცია მოსალოდნელი ზარალის მოცულობის შესახებ. მენეჯმენტი იმედოვნებს, რომ მეწილეები გამოთქვან მზადყოფნას დააფინანსონ აღნიშნული ზარალი განჭვრეტად მომავალში.

როგორც ზოგადი ეკონომიკური ასევე პოლიტიკური სიტუაციის არასტაბილურობიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი ძირითადად კონცენტრირებულია კომპანიის და საოპერაციო საქმიანობის ყოველდღიურ ეფექტურ მართვაში, რომ საქმიანობის შედეგებისთვის მსხვილ მნიშვნელობაზე იყოს მზად. შესაძლოა, მომავალში, როდესაც სიტუაცია დადგინდება, კომპანია დააგეგმოს გეგმები, რომლებიც დაეხმარება მათ, რათა დააფინანსონ თავიანთი საქმიანობის განხორციელება.

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

კომპანიის მენეჯმენტს და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ კომპანიას აქვს დიდი გამოცდილების მქონე საკადრო რესურსი, სწორი სტრატეგიის შემუშავებით და გატარებით, საშუალოვადიან პერსპექტივაში უნდა მოხდეს ბაზრის წილის და სარეკლამო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა და ხარჯების მნიშვნელოვანი ოპტიმიზაცია, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საქმიანობის შეფერხებების გარეშე ოპერირებას. ამასთან, მენეჯმენტს აქვს მოლოდინი, რომ ამ პერიოდში წარმოშობილ დეფიციტს შეავსებენ ან კომპანიის მეწილეები და/ან საერთაშორისო დონორები (ფინანსური დახმარების მოპოვების შემთხვევაში).

5. შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან

	2021	2020
შემოსავალი გაყიდული დროიდან და განთავსებებიდან გარდა პოლიტიკური რეკლამებისა	11,521	7,336
შემოსავალი პოლიტიკური რეკლამებიდან	394	3,831
შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან სულ	11,915	11,167

აღნიშნული შემოსავალი გენერირებულია კომპანიის მიერ სარეკლამო დროის და ტელეარხის სამაუწყებლო ეთერში განთავსებულ პროგრამებში პროდუქტის განთავსების უფლების რეალიზაციით. კომპანიას როგორც სარეკლამო დრო სრულად, ასევე პროგრამებში პროდუქტის განთავსების უფლება, ხელშეკრულებით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა გადაცემული აქვს შპს ნიუ სეილისთვის, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს შუამავალ რგოლს, ერთის მხრივ, სარეკლამო სააგენტოებსა და მედიის მგეგმავებს, მეორეს მხრივ კი, მედია-საშუალებას შორის.

6. ტელე გადაცემებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი

	2021	2020
ხელფასის ხარჯი	(15,040)	(13,385)
გადაცემის მომზადების ხარჯი	(1,023)	(2,157)
ამორტიზაციის ხარჯი	(988)	(1,174)
ხმის უზრუნველყოფის ხარჯი	(567)	(476)
სხვა ხარჯი	(262)	(381)
ტელე გადაცემებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი სულ	(17,880)	(17,573)

7. ჩვენებისა და ინფრასტრუქტურის ხარჯი

	2021	2020
იჯარის ხარჯი	(4,093)	(3,534)
სიგნალის მიღების ხარჯი	(543)	(517)
ქსელით სარგებლობის ხარჯი	(235)	(235)
სტუდიების კეთილმოწყობის ხარჯი	(100)	(675)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(88)	(216)
სხვა ხარჯი	(92)	(93)
ჩვენებისა და ინფრასტრუქტურის ხარჯი სულ	(5,151)	(5,270)

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი

	2021	2020
ხელფასის ხარჯი	(4,047)	(3,707)
სატელიტიზაციო რეიტინგის კვლევის ხარჯი	(805)	(471)
საწვავის ხარჯი	(499)	(461)
კომუნალური ხარჯი	(481)	(440)
ცვტა და ამორტიზაცია	(348)	(41)
საურავის და ჯარიმის ხარჯი	(255)	(153)
საპენსიო ხარჯი	(99)	(78)
უიმედო და საექვო ვალის ხარჯი	(82)	(32)
მივლინების ხარჯი	(49)	(60)
მარკეტინგული ხარჯი	(32)	(78)
სხვა ხარჯი	(697)	(613)
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი სულ	(7,394)	(6,134)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	სამაუწყებლო აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2019	417	78	5	500
შემოსვლა	875	101	86	1,062
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	1,292	179	91	1,562
შემოსვლა	173	56	90	319
გასვლა	(67)	(5)	(28)	(100)
31 დეკემბერი 2021	1,398	230	153	1,781
დაგროვილი ცვტა				
31 დეკემბერი 2019	(16)	(3)	-	(19)
ცვტა	(138)	(23)	(4)	(165)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	(154)	(26)	(4)	(184)
ცვტა	(298)	(47)	(19)	(364)
გასვლა	24	2	7	33
31 დეკემბერი 2021	(428)	(71)	(16)	(515)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2020	1,138	153	87	1,378
31 დეკემბერი 2021	970	159	137	1,266

კომპანიას იჯარით აქვს აღებული როგორც საოფისე ფართი, ასევე სამაუწყებლო საქმიანობისათვის საჭირო უძრავი და მოძრავი ქონება.

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ჩვენების უფლება	სერიალი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2019	715	-	21	736
შემოსვლა	719	401	28	1,148
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	1,434	401	49	1,884
შემოსვლა	1,267	21	3	1,291
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	2,701	422	52	3,175
დაგროვილი ამორტიზაცია				
31 დეკემბერი 2019	(210)	-	-	(210)
ამორტიზაცია	(980)	(201)	(15)	(1,196)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	(1,190)	(201)	(15)	(1,406)
ამორტიზაცია	(907)	(148)	(4)	(1,059)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	(2,097)	(349)	(19)	(2,465)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2020	244	200	34	478
31 დეკემბერი 2020	604	73	33	710

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მოთხოვნები მომსახურებიდან	703	1,119
გადახდილი ავანსები	167	96
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	870	1,215
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(114)	(32)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი აქტივები სულ, ნეტო	756	1,183

უიმედო და საექვო მოთხოვნების რეზერვზე მომპრაობა ბოლო ორი წლის განმავლობაში იყო რეზერვის ზრდა 32 და 82 ლარის მოცულობით.

12. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია ფულისა და ფულის ექვივალენტების ნაშთი.

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ ზარალს. საწესდებო კაპიტალი შეადგენს 30,681 ლარს, მათ შორის 2021 წელს შევსებული კაპიტალი შეადგენს 11,168 ლარს.

კომპანიის მეწილეთა გადანაწილება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

მფლობელი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
BGIM LTD	39%	39.00%
ბაკურ ჯახაია	37%	37.00%
ნიკა გვარამია	12%	12.00%
ნიკოლოზ სისაური	3%	3.00%
მარი ანა რურუა	2.5%	2.50%
გიორგი რურუა	2.5%	2.50%
შპს საქართველოს უნივერსიტეტი	2%	2.00%
თეიმურაზ ვასილიძე	1%	1.00%
შპს მატრიქსი	0.20%	0.20%
შპს მონტე	0.20%	0.20%
შპს ომეგა მოტორს თბილისი	0.20%	0.20%
მაგული ხარებავა	0.20%	0.20%
შპს ომეგა მოტორ ჯგუფი	0.20%	0.20%

2020 წლის მაისში და შემდგომ სექტემბერში შეიცვალა კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა, ამის შემდგომ ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე კომპანიის მეწილეთა სტრუქტურაში ცვლილება არ შესულა.

კომპანიის საბოლოო მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ - ნიკოლოზი ალასანია 12.5%; გიული ალასანია 37.5%; მანანა სანაძე 50%.

BGIM LTD - ზაზა ოქუაშვილი 100%

შპს „ომეგა მოტორს თბილისი“- ზაზა ოქუაშვილი 100%

შპს „ომეგა მოტორ ჯგუფი“ - ზაზა ოქუაშვილი 100%.

შპს მატრიქსი - ზაზა ოქუაშვილი 100%.

შპს „მონტე“ - ზაზა ოქუაშვილი 100%

BGIM LTD წარმოადგენს შპს მატრიქსის, შპს მონტეს, შპს ომეგა მოტორს თბილისის, მაგული ხარებავას და შპს ომეგა მოტორ ჯგუფის წილების მმართველს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამავე კომპანიების წილები დაგირავებულია BGIM LTD-ის სასარგებლოდ, როგორც კომპანიის წესდებით გათვალისწინებული ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალება. კომპანიის წესდებით მიხედვის მეწილეების, შპს მატრიქსის, შპს მონტეს, შპს ომეგა მოტორს თბილისის, მაგული ხარებავას და შპს ომეგა მოტორ ჯგუფის ვალდებულებას წარმოადგენს კომპანიის კაპიტალში 15 წლის განმავლობაში საიჯარო ქირის შეტანა. 2021 წლის განმავლობაში კომპანიას დივიდენდი არ გაუნაწილებია.

14. მოკლევადიანი სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფიზიკური პირისგან მიღებული სესხი	10.80%	ლარი	594	89
ფიზიკური პირისგან მიღებული სესხი	7.10%	დოლარი	33	318
ფიზიკური პირისგან მიღებული სესხი	7.10%	დოლარი	7	0

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები	5,101	3,043
სახელფასო ვალდებულება	5,847	2,676
მიღებული ავანსები	76	30
სხვა ვალდებულებები	1,194	603
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები სულ	12,218	6,352

16. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახადელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრა სცდება მოგების გადასახადის მოქმედების არეალს და აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

17. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. კომპანიამ საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება (ნომრით გ-20-18/889) შპს „მთავარი არხისთვის“ ადმინისტრაციული

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

კომპონენტს და შესაბამისად არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სასამართლომ გაამართლოს კომისია და არხს მოუწიოს ჯარიმის 58 ლარის გადახდა.

კომპანიამ საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება N გ-21-18/634 შპს „მთავარი არხისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. ამ გადაწყვეტილებით, კომისიამ არხი ცნო სამართალდამრღვევად და დააჯარიმა მისი წლიური შემოსავლის 1 %- ის ოდენობით - 112 ლარით. საქმე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის, წარმოებაშია პირველ ინსტანციაში, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. მენეჯმენტის შეფასებით, აღნიშნული საქმე შეიცავს პოლიტიკურ კომპონენტს და შესაბამისად არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სასამართლომ გაამართლოს კომისია და არხს მოუწიოს ჯარიმის 112 ლარის გადახდა.

2021 წლის ნოემბრიდან 2022 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდში საჯარო მოხელეთა 11 სარჩელი ჩაბარდა მთავარ არხს. ყველა სარჩელი ფაქტობრივად იდენტურია. სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად მოსარჩელები მოითხოვენ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფას. მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის თითოეული მათგანი ითხოვს 56 ლარს სოლიდარულად შპს „მთავარი არხისა“ და ნიკა გვარამიასგან. სასამართლომ ერთ-ერთი მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და კომპანიას მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის დააკისრა მოპასუხეებს (მთავარი არხი და ნიკა გვარამია) სოლიდარულად 45 ლარის გადახდა მოსარჩელის მიმართ. საქმე დასრულებულია საქალაქო სასამართლოს პირველ ინსტანციაში. კომპანიამ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მენეჯმენტის შეფასებით, არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სხვა ყველა სარჩელი დასრულდეს ოგივე შედეგით. შესაბამისად, შეიქმნა რეზერვი 50 ლარის ოდენობით.

ყველა ზემოთ მოცემულ სასამართლო დავებზე ფინანსურ ანგარიშგებაში შექმნილია რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციები

		2021	2020
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები		1,013	993
ოპერაციის ტიპი	დაკავშირების სახე	2021	2020
შესყიდული მომსახურება (იჯარა/კომუნალურები/დარიცხული საურავი)	კომპანიის მეწილე	4,473	4,151
გადასახდელი ვალდებულებები (საიჯარო ვალდებულება)	კომპანიის მეწილე	1,698	849

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

19. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2022 წელს ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლომ 16 მაისს, კომპანიის გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას 3 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

ერთ-ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, შეიტანა საჩივარი კომუნიკაციების კომისიაში მთავარი არხის მიერ 2022 წელს ეთერში გაშვებულ კლიპზე, საჩივარის თანახმად აღნიშნული კლიპი არის წინასაარჩევნო/პოლიტიკური და განთავსებულია არაწინასაარჩევნო პერიოდში, აკნინებს მომჩივან პარტიას და არის მისთვის ხელისშემშლელი არჩევნებისთვის. მთავარ არხს შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა არაუმეტეს შემოსავლის 3%-ით.